წლიწადი მეცხრე — № 440

პარასკევი, 13 სექტემბერი 1874

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მ. ნ., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მოედანზე, შაბურროვის სახლებში.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

— ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: „მშაკს“ რა აკაკანებს? — კიდევ ქალაქის გამგეობას — წარმოდგენა ს. ენისელში — იმერეთის ეპარხიის სამღვდელოების ყრილობა ქ. ქუთაისში — „დროების“ კორრესპონდენცია: სამიქაოდგან — აბასთუმნიდგან, — ხონიდგან — უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი — ნ ა რ ე ვ ი — საქართველოს ცხოვრებიდგან: კათალიკოსის მელქისედეკის მოქმედება — განცხადებანი,

## „მშაკს“ რა აკაკანებს?

სომხურს გაზეთში „მშაკ“ (№ 36) ერთი უთავბოლო და ცუდ უბრალოდ მიკვანძილ-მოკვანძილი სტატია წარვიკითხე თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის თაობაზედ. წავიკითხე და ჩემს თავს ვკითხე, — რისთვის დაუწერია ამის დამწერს ის სტატია და ან პატივ-ცემულს რედაქციას რის განზრახვით დაუბეჭდია. მე რომ „მშაკის“ რედაქციის პატივს-ცემა არა მქონდეს, ბევრს რასმეს ვიფიქრებდი, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივ-საცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფთხე.

ეს კია რომ ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა ყოველთვის და ყოველს ჟამს თავში კვერსა ჰსცემს ყოველს იმას, რაც კი მიმართულია მიწათ-მფლობელთ და მიწათ-მომქმედთ კეთილდღეობისადმი. რისთვის და რადა? ამის პასუხის მიცემაც ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფთხე.

გაზეთი „მშაკი“ ბძანებს, რომ პრიკაზის დაარსებაშიც იგივე აზრი იყო, რაც ამ ჩვენს ახალს ბანკსა აქვსო, მაგრამ ქართველთ ვერაფრად გამოიყენეს ის კეთილი აზრიო და პრიკაზიდამ გამოტანილი ფულები ბედოვლათობაში გაფლანგესო, მამულები ისევ ისე აოხრებულები დარჩათო, ვალებში უფრო მეტად ჩაცვივდნენო, სარგებელი რიგიანად არ შეიტანესო და ბოლოს ისე მოუხდათო, რომ ხშირად მამულები ეყიდებოდათო. ვსთქვათ რომ ეგრეც იყოს, ვითომ მაგითი რის თქმა უნდა „მშაკს“?

იმის თქმა უნდა, რომ რაკი აგრეა თქვენი ბანკიც ვერ იხეირებსო. სწორედ მაგ გვარმა მდგომარეობამ დაჰბადა ევროპაში აზრი საადგილ-მამულო ბანკის დაარსებისა. დასამტკიცებლად „მშაკს“ მიუთითებთ მინისტრის სტრუენზეს მოხსენებაზედ პრუსიის კოროლისადმი. იმ მოხსენებიდამ „მშაკი“ ჰსცნობს, რომ სილეზიის მიწათ-მფლობელნი საზოგადოდ და თავად-აზნაურნი საკუთრად გაცილებით ერთი ათად ჩვენზედ უარესს მდგომარეობაში იყვნენ ყოვლის ფრით, მაგრამ სტრუენზემ პრუსიის კოროლს წამლად უჩვენა საადგილ-მამულო ბანკი და ბოლო ხომ უებარ წამლადაც გამოდგა. პრიკაზის ყოფილი ზედ-მოქმედება მაგალითი არ არის. . . . . . . მე ვუჩვენებდი „მშაკს“ მიზეზს, რომლის მეოხებითაც პრიკაზმა ვერ მოიტანა ის სარგებლობა, რის იმედიც „მშაკსა“ ჰქონია, და სწორედ გითხრა „მშაკის“ რედაქცია არც ისეთი უმეცარი მგონია, რომ ეგ მიზეზები არ იცოდეს. მაშ თუ აგრეა, — რისთვის და რად გვიტეხს გულს გაზეთი „მშაკი“ პრიკაზის მაგალითითა? ამისი პასუხიც ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და თვალბედილი შავი ყორანი“ გავიფთხე.

გაზეთი „მშაკი“ ბძანებს, რომ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკი სახელდობრ იმისათვის ფუძნდებაო, რომ მარტო თავად-აზნაურობას სესხად ფული აძლიოს. ჰსტყუის „მშაკი“. ჩვენს ბანკს წესად აქვს, რომ ფული აძლიოს ყოველს მიწათ-პატრონს და მიწათ მომქმედს, მაშასადამე გლეხსაც, ღვდელსაც და ყოველ წოდების კაცსა.

ეს უმეცრება იმიტომ კი არ შევნიშნე რომ „მშაკს“ უმეცრება უმეცრებად ჩავთვალო. არა, მე ამ შენიშვნით ის უნდა მეთქვა, რომ თუ „მშაკს“ გულმტკივნეულობით მოსვლია ჩვენს ბანკზედ ლაპარაკი და არა სხვა რაიმე განზრახვით, — ერთხელ მაინც უნდა ჩაეხედნა ჩვენის ბანკის წესდებაში და მასში უმთავრესი საგანი დაენახა. ეხლა ჩანს, რომ არ ჩაუხედნია. მაშ რისთვის და რად აპილპილებულა „მშაკი“? ამის პასუხი ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივ-საცემია, ამისათვის ჩემ ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფთხე.

გაზეთი „მშაკი“ ბძანებს: ბევრი კია იმისთანა მამული თფილისის გუბერნიაში, რომ დაგირავებული არ იყოსო? მე მოვახსენებ თუ ხსოვნამ არ მიღალატა: 1700 თავად აზნაურთაგანს მარტო თითქმის 400-სა აქვს დაგირავებული. „მშაკი“ კი იმ სახით კითხულობს, თითქო უხარიანო რომ დაუგირავებელი მამული არ ეგულება. რისთვის და რად უხარიან თავისი სიზმარი? ამისი პასუხი ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივ-საცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფთხე.

„მშაკი“ კვლავაც იმეორებს. ჩვენი თავად-აზნაურნიო თავისის უანგარიშო მეურნეობით, თავისის ბედოვლათობითაო იქამდე მივიდნენო რომ რაცა ჰქონდათო ყოველივე დააგირავესო, ვალებში ჩაცვივდნენო, დაგირავებული გადააგირავესო და ეხლაო მათი მდგომარეობა ფრიად სამწუხაროა. იქნება ეგეც მართალი იყოს, მაგრამ პატივცემულო „მშაკო“, შენში რომ მაგ მწუხარებას ვერა ვხედავთ. შენ ისე ლაპარაკობ თითქო გიხარიანო. რისთვის და რადა? ამისი პასუხი ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცით, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის ჩვენს ფიქრებს გზა გადუღობეთ და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფთხეთ.

გაზეთი „მშაკი“ ბძანებს: ყველა ყველაო და თავად-აზნაურთა ზნე და ხასიათიო!.. ქამა, სმა, ქეიფი, კახური ღვინო — აი მათი ცხოვრების იდეალიო და ამის მაგალითად რაღაც შემთხვევა მოჰყავს. ბოლოს ამასაც დიდის მნიშვნელობით ამბობს: არ დაივიწყოთო, რომ ბანკს აფიციალური (?) დამფასებლები ეყოლებაო. აფიციალური დამფასებელი რა არის? იქამდინაც მივიდა საქმე, რომ ცილის წამებით აფთხობთ ხალხს? წელს ზაფხულს კახეთის სოფლებში დიდი მოძრაობა იყო სასოფლო ბანკის თაობაზედ. ჩვენმა გლეხობამ დიდი სურვილი გამოაცხადა ბანკების შედგენისა და გულმხურვალედაც მოეკიდა. რასაკვირველია, იქაურ ვაჭრებს ეგ ვერ ეჭაშნიკათ. ერთი ვაჭართაგანი შეხვდა ერთ გლეხ კაცს, რომელსაც სოფელში ხმა ჰქონდა და უთხრა: ვა, რას შვრებით? ბანკიო? ბიჭო, ხო დაილუპებით!

— რად დავილუპებით? ფულს იაფად ვისესხებთო, უპასუხა გლეხმა.

— აბა, ეგ არის თქვენი დასაღუპიო. ქართველმა კაცმა ფული რომ იაფად იშოვოს, ხომ სულ გაფლანგავს. ქართველი ხარ, და ქართველის ხასიათი არ იცი?! დამიჯერე დაილუპებით მეთქი.

— არა, შვილო, უპასუხა გლეხმა: ეგ რომ ჩემი დასაღუპავი იყოს შენ ეგრე თავს არ იტკენდიო.

რასაკვირველია ამ გვარს პასუხს მე არ ვაკადრებ „მშაკსა“, — ვიცი რომ „მშაკის“ რედაქცია პატივ-საცემია, ამისათვის მაგ პასუხს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფთხე.

С.

## კიდევ ქალაქის გამგეობას.

სწორედ საქმე გაგვიჭირვა პოლლიცკის სეკრეტარმა ივანე იოსების ძემ ზურგინზეკოვმა, რომელსაც იჯარით აღებული აქვს ქირაჯა მოსამსახურეთა და მუშათაგან ასალები თითო მანეთი გარდასახადი! აპრილიდგან დაწყებული აქამდის ამ იჯარადრის მოხელე კაცები ქუჩაში იჭერენ ყველას, ვინც ტორტმანით და დიდკაცურად არ დადის! ვინ იცის, რამდენს კაცს უსიამოვნობა მიაყენეს თავისი უწესო საქციელით და მოქალაქეთ მშველი არავინ ჩნდება! ქალაქის გამგეობაში, როგორც ვიცით, ძლიერ ხშირად მიდიან ამ ხარჯის მკრეფელებისაგან შეწუხებული კაცები საჩივლელად. გაზეთშიაც ნახე „დროების“ 17 მაისის № 423) გამოცხადებული იყო, რომ მცხოვრებლებს უწესოთ ეპყრობიან. მაგრამ აქამდის უწესოება არ მოსპობილა. უნდა ვიფიქროთ, რომ ან ქალაქის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს მცხოვრების მდგომარეობას, ან არა და ის ისე უძლურია, რომ ზურგენზეკოვი ვერ შერისხა და წესიერად საქციელი ვერ აიძულა; მაგრამ შეიძლება, ქალაქის გამგეობას ისეთი პირობაც დაუდვას ზურგინზიკოვთან, რომ გამგეობა ხელშეკრული იყოს და იჯარადარი კი ხელ გახსნილი და ყოველივე მოქმედების უფლება ჰქონდეს მას მიცემული. ამისათვის საცნობლად საჭიროა, რომ ზურგინზეკოვთან შეკრული პირობა გამოგვეცხადდეს.

## წარმოდგენა ს. ენისელში.

პირველი არ არის, რომ სოფლებში წარმოდგენები იმართება და წარმომადგენელები ისე ლამაზათ თამაშობენ თავიანთ როლებს, თითქოს დიდი ხნის გამოცდილი აქტიორები იყვნენო. ხალხი ყველგან, სადაც კი ჰყოფილა წარმოდგენა, დიდს თანაგრძნობას და ხალისს აცხადებს თეატრისადმი.

აი ეხლაც კახეთიდგან გვწერენ, რომ იქ ს. ენისელში, თ. ზ. ჯორჯაძის სახლში, წარმოუდგენიათ „ძუნწი“. მომეტებული ნაწილი წარმომადგენელთა ქალები ჰყოფილან, რომელთაც მშვენივრათ შეუსრულებიათ თავისი როლი; ნამეტურ კარგათ გამოსულა იმერელი, რომელსაც ერთი ახალგაზდა ქალი თამაშობდა; კარგათ უთამაშიათ აგრეთვე მონავარდისას როლი. კარაპეტა კი თუმცა მთელ პიესაში ვერ იყო ისეთი, როგორიც ჩვენ გვინახავს თფილისის სცენაზედ, მაგრამ ზოგან კი თურმე ძალიან კარგათ ხატავდა სომეხს.

ამ წარმოდგინებაზედ ბევრი ხალხი დასწრებია, ნამეტურ გლეხობა. გვწერენ, რომ უკეთესი სანახავი ძვირათ შეიძლებოდაო: დიდის სიამოვნებით ადევნებდა ხალხი თვალყურს მთელს პიესას და გულიანის სიცილით ძიილებდა პიესის სახუმრო ადგილებს. წარმოდგინებით ორმოცი მანეთი შეუკრეფია თ

## იმერეთის ეპარხიის სამღვდელოების ყრილობა ქ. ქუთაისში.

2, 3, და 4 ამ სეკტემბრის თვეს იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას ყრილობა ჰქონდა ქ. ქუთაისში. სხდომა გაიხსნა 2 რიცხვს ერთ დიდს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ოთახში. დეპუტატების სიის წაკითხვის შემდეგ, წინანდელმა ყრილობის თავსმჯდომარემ, ბლაღოჩინმა მღვდელმა დავით ღამბაშიძემ, თანახმად § 23 სასწავლებლის წესდებისა, მისცა წინადადება დეპუტატებს თავსმჯდომარის აღრჩევაზე. ყრილობამ ერთ ხმათ განაცხადა სურვილი, რომ ისევ ბლაღოჩინი ღამბაშიძე დარჩენილიყო. ამ განცხადებაზე ბლაღოჩინმა ღამბაშიძემ, დეპუტატებს უთხრა შემდეგი სიტყვა: „მამანო დეპუტატნო! მართალია თქვენ ყოველთვის გამოცხადებული ხმის მიცემით ირჩევდით ხოლმე თავს-მჯდომარეთ მამა დეკანოზს ი. გამრეკელოვს მაგრამ ეს, როგორც მაშინაც ვაცხადებდი, უწესოება იყო. თავსმჯდომარის აღრჩევა გამოცხადებული ხმის მიცემით არ შეიძლება. მართალია, დიდი განსხვავება კი არ ეჩვენება ზოგიერთ დეპუტატს დაფარულ და გამოცხადებულ ხმისმიცემაში, მაგრამ როდესაც თავსმჯდომარის კანდიდატათ დაინიშნება პირი საზოგადოებაში დიდი გავლენის მქონე, მაშინ ზოგიერთი დეპუტატი ვერ ბედავს მის დანიშვნაზე უარის თქმას გამოცხადებით. ამისთანა მაგალითები, თქვენც იცით, ბევრია. ამ გარემოებას მიაქცია უწმინდესმა სინოდმა ყურადღება და 20 დეკემბერს 1867 წელსა განაწესა, რომ თავსმჯდომარე არსად არ იქმნეს ყრილობაში აღრჩეული გამოცხადებული ხმის მიცემით. ამ ჩვენ ყრილობაებშიაც იყო ერთი ვინმე, რომელიც, თუ გამოცხადებული

კენჭის ყრით იქმნებოდა აღრჩეული თავსმჯდომარეთ, სურვილს აცხადებდა, მაგრამ როდესაც ყრილობამ ისურვა დაფარული კენჭის ყრით არჩევა მისი, მან დაინახა თუ არა კენჭის საყრელი კოლოფი მსწრაფლ უკუნ იქცა! აქედამ სჩანს, რომ გამოცხადებულს და დაფარულს ხმის მიცემაში არის განსხვავება. ამისათვის მე გთხოვთ, მამანო დეპუტატნო, ზემო თქმულის უწმინდესის სინოდის განწესების თანახმად (§ 23 სასწავლებელთა წესდებისა,) აღირჩიოთ თვის შორის თავსმჯდომარეთ ვინმე დეპუტატთაგანი, და ამასთან საქმის მწარმოებელიც.

ყრილობამ თვის შორის დეპუტატთაგანი არ აღირჩია თავს მჯდომარეთ. ერთ ხმად სთხოვეს ბლაღოჩინს ღამბაშიძეს თავსმჯდომარეთ დარჩენა ამ ყრილობაშიაც. იყო კენჭის ყრა მაზე და გარდა ერთისა ყველა მსურველების აღრჩევითი ხმა (კენჭი) აღმოუჩნდა. ამაზე შეაყენეს თუ არა სიგელი, დეპუტატების ხელ-მოწერის შემდეგ ბლაღოჩინმა ღამბაშიძემ შეკრებილებას უთხრა შემდეგი სიტყვა:

„პატივცემულნო მამანო დეპუტატნო! მადლობთ თქვენ იმ რწმუნებისთვის, რომელიც თქვენ მე დღეს მიჩვენეთ. ღმერთსა ვსთხოვ, ჩემი მოვალეობა ამ საქმეში კეთილად აღმესრულებინოს. ამას წინეთ რომ ყრილობა იყო, მაშინაც ვსთქვი ორიოდე სიტყვა თავს-მჯდომარის მოვალეობაზე, მაგრამ რადგან დღეს აქ ისეთი დეპუტატები არიან, რომელნიც მაშინ არ ყოფილან, ვიტყვი კიდევ ორიოდე სიტყვას თავს-მჯდომარის შესახებ. თავს-მჯდომარე არის დანიშნული წესიერების დასაცველად. მან ყოველ თქვენგან გამოთქმულ აზრს, მოქმედებას და გარდაწყვეტილებას უნდა მისცეს ფორმალურად მსვლელობა, თუ კანონის წინაალმდეგი არ არის. თავსმჯდომარეს არა აქვს უფლება თქვენდა უნებურად თქვენს გამოთქმას, მოქმედებას და გარდაწყვეტილებას თავისით მოუმატოს, ანუ დააკლოს რამე. მაშასადამე კარგათ და ცუდათ წაყვანა თქვენის საქმისა თქვენზევე არის დამოკიდებული. როგორც იციან ზოგიერთთა, წინეთ ყრილობაებზე მრთელი დღე გრძელდებოდა ლაპარაკი თავსმჯდომარის აღრჩევაზე. ბოლოს კენჭის საყრელი კოლოფის მოტანაზე შეიქნებოდა ერთი უსარგებლო გაუთავებელი ბაასი და შემდეგ უბრალო და ხანდისხან უსარგებლო საგნებზე ლაპარაკისა, დეპუტატები არ აქცევდნენ ყურადღებას ისეთ საგნებს, რომელნიც ყურადღების ღირსნი იყვნენ. ეს უყურადღებლობა, როგორც სჩანს, სასწავლებელს არ დაუჩა სასარგებლოდ. 1873 წელს ივნისის 28 რიცხვსა მე, როგორც სასწავლებლის სამმართველოს წევრმა, განუცხადე დეპუტატებს მოსამზადებელი კლასის ოთახებისაღშენება სასწავლებლის სიახლოვეს. ამას ყურადღება არ მიაქციეს, და მიზეზი არ ვიცი. მაგრამ, დღეს როგორც სჩანს, არ ურჩება სასწავლებელს და სამღვდელოებას სასარგებლოდ.

ამ ჩვენი შეკრებილების სალაპარაკო და გარდასაწყვეტი საგნები ბევრია. სხვათა შორის ამ ყრილობაზე ჩვენ უნდა ვიქონიოთ მსჯელობა სასწავლებლის ზედამხედველის აღრჩევაზე, რომელზედაც დიდი მოფიქრება გვმართებსთ ყველა დეპუტატებს. ყველა ჩვენი შვილების გონებითი და ზნეობითი აღზრდა ზედამხედველზე არის თითქმის დამოკიდებული. ამისთვის მე გთხოვთ, მამანო დეპუტატნო, დრო დაუკარგავად შეუდგეთ იმ საგნებზე მოლაპარაკებას და მსჯელობას, რომლისათვის ვართ ჩვენ შეკრებილნი. ამას გარდა ნურც იმისთანა საგნებს დავსტოვებთ უყურადღებოთ, რომელიც ჩვენი სასწავლებლისათვის სასარგებლო იქმნებოდეს. იქონიეთ მხედველობაში, რომ თქვენ მარწმუნებლებს თქვენზე დიდი მოვალეობა აქვს დადებილი, რომლის აღსრულებას სვინიდისიანათ ყველა თქვენგან, უნდა ცდილობდეს...“

ამის შემდეგ, მიიღო თუ არა დამტკიცება თავსმჯდომარეობაზე ბლაღოჩინმა ღამბაშიძემ, ყრილობა შეუდგა სხვა და სხვა საგნებზე მსჯელობას.

პირველი საგანი ყრილობის მსვლელობისა იყო სასწავლებლის ზედამხედველის აღრჩევა სამღვდელოებისაგან კენჭის ყრით.

იმერეთის სამღვდელოებას მხედველობაში ჰყავდა რამდენიმე კანდიდატები ამ თანამდებობაზე, მაგრამ ზოგს მათგანს ჯერეთ კურსი არ შეუსრულებია და ზედამხედვლის აღრჩევა კი მიუცილებელი იყო. ზოგმა თავის სამშობლოში არ ისურვა სამსახური, შემდეგი სიტყვების ძალით: „არა არს წინასწარმეტყველი შეურაცხ გარნა სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა!“ რომელთაც განაცხადეს სურვილი მათზე კიდევაც იყო კენჭის ყრა.

ამ თანამდებობაზე ორი კანდიდატი იყო. ერთად იყო ყაზანის აკადემიაში კურს შესრულებული უ. მიხეილ ასათიანი და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი სტუდენტი სემინარიის მიხეილ მაჭავარიანი. ხმის მქონე დეპუტატების რიცხვი იყო (43) ორმოცდა სამი. ამ ხმებში 41 აღრჩევითი ხმა მოუვიდა უ. ასათიანს და 26 აღმოუჩნდა უ. მაჭავარიანს. დიდი ფიქრი მართებს მართლა კაცს, რომ ამ თანამდებობაზე ისეთი აზრი არ აღირჩიოს, რომ ბოლოს სანანებლად საქმე არ გაიხადოს. უ. ასათიანზე იმერეთის სამღვდელოებას დიდი იმედი აქვს და თუ სასწავლებლის საქმე როგორც სწავლის შესახებ ისე ეკონომიურად კარგა წაიყვანა, დიდ ხანს დასტოვებს თავის სახელს მოსახსენებელად სამღვდელოებათა შორის. ვისურვებ, რომ სამღვდელოების მოლოდება აღსრულებულიყოს.....

მეორე საგანი შეკრებილების მსჯელობისა იყო სასწავლებელის სამმართველოს წევრების აღრჩევა სამღვდელოების მხრით. სასწავლებლის წესდებით (იხილე სასწავლებლის წესდების § 24) სამღვდელოებას ეძლევა უფლება თავის მხრით სასწავლებლის სამმართველოში იყოლიოს ორი სამღვდელო პირი წევრად სამ-სამის წლის ვადით. ამათი აღრჩევაც მათ სურვილზე არის დამოკიდებული. მაგრამ ძლიერ სამწუხაროარის, რომ სოფლელთაგან არავინ შეიძლება დაინიშნოს სიშორისა გამო. სოფლელი მღვდლისათვის მარტო ამ თანამდებობაზე სიარული კვირაში თითოჯერ მართლა საძნელო არის. ქალაქის მღვდლები, როგორც მოგეხსენებათ, ყელთამდინ არიან აღვსილნი სხვა და სხვა თანამდებობით და ამისთანა უჯამაგირო და უსარგებლო თანამდებობას არცკი ისურვებს, თუ ჯილდოს მიღების სურვილი ძილშიაცკი არ აძლევს ნებას. ქუთაისშიაც კი არიან მსურველები ამ თანამდებობის მიღებისა, მაგრამ მათ სამღვდელოები ძალა-უნებურად ირჩევენ, რადგან სოფლელს ნებას არ აძლევენ ამ თანამდებობას მიღებისას. როგორც გამიგონია ქალაქში მყოფ წევრებსაც იმდენათ უძნელდებოდათ სასწავლებლის სამმართველოში სიარული თურმე, რომ ხშირად მოსდის ხოლმე სასწავლებლის ზედა მხედველს დაბარებაზე ამ გვარი პასუხი: „რადგან ჯორი ანუ ცხენი ვერ ვიშოვნე, ანუ უქეიფოთ ვარ, ვერ მოვდივარ: ამისათვის დაათრევდა სასწავლებლის ჟურნალს ხელ მოსაწერათ სასწავლებლის სტოროჟი. ეს საუბედუროდ, როგორც ამბობენ, ყველგან არის.

1872 წლიდამ ამ წლის 11 სეკტემბრამდისინ სასულიეროს წოდების მხრით წევრებათ იყვნენ დანიშნულნი დეკანოზი სიმონ მიქიევი და ბლაღოჩინი მღვდელი დავით ღამბაშიძე. ეს უკანასკნელი თავის თხოვნით იყო დათხოვილი 1873 წელში ივნისის თვეში და მის ადგილზე იყო დანიშნული მისი კანდიდატი მამა დეკანოზი ი. ზამრეკელოვი მეორე სამღვდელოების ყრილობამდის. მეორე სამღვდელოების ყრილობა იყო ამ თვის აპრილის 7, 8 და 9. ამ ყრილობაში რადგან დეკანოზს ზამრეკელოვსაც უარი არ უთქვამს სამღვდელოების კითხვაზე, ყრილობამ დასტოვა ამ სეკტემბრის 1 რიცხვამდის. ამ სეკტემბრის 2-ს ნაცვლად ყოფილთა წევრთა ყრილობამ აღარჩია ოთხი კანდიდატი. 1 ბლაღოჩინი მ. დ. ღამბაშიძე 2 ბლაღოჩინი მღდელი ანტონ შალანჩივაძე, 3 მღვდელი სიმონ ჩარკვიანი და 4 მღვდელი იოსებ აბრამიშვილი. ამ კანდიდატებში აღრჩევითი ხმა აღმოუჩნდა მ. ღამბაშიძეს 41, ბლაღოჩინს მ. ა. შალანჩივაძეს 31, მღვდელს ი. აბრამიშვილს 28 და მ. ს. ჩარკვიანს 26. სამღვდელოების მხრით წევრების აღრჩევა ამით გათავდა და ამაზე შემდგარი სიგელი ხელმოწერილი დეპუტატთაგან ყოველად სამღვდელოს წარუდგინეს, მაგრამ მათში რომელი დამტკიცდა და რომელი არა არ არის გაგებული.

X.

(დასასრული იქნება).

სეკტემბრის 5-სა 1874 წელსა.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

ს. სამიქაო, 25 აგვისტოს.

სოფ. სამიქაო, რომელშიაც, —როგორც აჩვენებს თვით ეს სახელი, უმეტეს ნაწილად, მიქამეები ცხოვრობენ, —მდებარეობს ცხენის წყლის მარჯვენივ, სოფ. ბანძის მახლობლად. მშვენიერი მდებარეობა, ბუნებითი სიმდიდრე, შრომის მოყვარე და ნაყოფიერი მცხოვრებლები—სამიქაოს ერთ კარგ სოფელს ადარებს; მაგრამ, ამასთანავე, იმას ძალიან ამცირებს ხალხის მეტის-მეტი უსწავლელობა, ამპარტავნობა, განვითარებული ქურდობა და სხ ამისთანა ცუდი მხარეები. არ ვიცი ეს უკანასკნელი სენი (ქურდობა) ვისი მაგალითით მიუღიათ, ან რა მიზეზისა გამო სჭირსთ. ეს კი ვიცი, ხშირი სტუმარი ვარ ამ სოფელში, რომ ქურდობას კარგათ გაუდგამს ძირი ხალხში, წარსულ თვეში ერთი აქაური ეკლესია გაუტეხიათ. მღვდელი ეკლესიის მახლობლად ცხოვრებს. მახშმობის დრო იყო, მღვდელმა, როგორც ამბობდა თვითონვე, საყდარში ანთებული სანთელი შენიშნა, მიირბინა სამრეკლოსთან და რეკა დაიწყო; გახშირებულმა ზარის ხმამ ხალხი ჩქარა მოაგროვა, მაგრამ ქურდს ვერ მიუსწრეს. ნახეს, რომ მოპარული ბევრი არაფერი იყო, ფულებიანი კრუშკა და ზოგიერთი საეკლესიო ნივთები კარებთან დაყრილი დახვდათ.

ზოგიერთ ეკლესიებს ღამ-ღამ სოფლელები უყარაულებენ ხოლმე რიგ-რიგათ, კი ეს არ ყოფილა, მაშინ როდესაც აქ მღვდელმა გატეხა და ქურდებს დააბრალაო. მაგრამ უფრო უკანასკნელი უნდა ყოფილბენ. ხშირად, ძალიან ხშირათ, ოჯახში ქალები პარავენ კაცებს ნამუშევარს, პირუტყვებს და სხვა წვრიმან ნივთებს და ჩუმ-ჩუმათ ჰყიდიან ან ახლო ქალაქში, ანა და სოფელშივე. ეს კიდევ არაფერი; ბევრი ისეთი ქალებია, ახალგაზდა გასათხოვარი ქალებიცა, რომ სოფელს გარეთაც (ხონში, ორპირში, ბანძაში) ქურდობენო ხოლმე: პარასკეობით, ან ისეთ დღეებზე, როცა ამისთანა დაბაებში ვაჭრობა არის, წავლენ ქალები, ამოუჯდებიან ვაჭრებს გვერდით, ამ ქალებს უკან კიდევ ქურდი ქალები ამოუსხდებიან; წინა ქურდი უკანას აძლევს ნაპარავს, ის სხვას გარდასცემს და ამნაირად მოგროვებულ ნაქურდალს წამოიღებენ სოფელში. მაგალითს მოგახსენებთ: ოთხი გაუთხოვარი ქალი წასულა სამიქაოდამ ახ. სენაკში იარმუკობაზედ და ფერის ცვალობიდამ მარიობამდი იმდენი მოუპარავსთ, რომ სოფლიდამ კაცი დაუბარებიათ და ერთი ცხენის საპალნე ფართალი წამოუღიათ სახლში. ამნაირათ ქალების ქურდობა თითქმის მომეტებულია ამ სოფელში, ვინემ კაცებისა. ამ გვარი ქურდობის მოსასპობლად ამ სოფელში ამორჩეული იყო ათ მოსახლეზე თითო კაცი, რომელსაც „ხევის-თავს“ ეძახდენ, და რომლის მოვალეობა იყო, აღმოეჩინა ოჯახში ქურდი, მაგრამ ახლა, არ ვიცი რატომ (ალბათ უ. მამასახლისის განკარგულება იქმნება), აღარ არიან ხევის-თავები.

ამ სოფლის მახლობლად ორ ვაჭარ კაცს დაუწვა ვიღამაც დუქანი, რომელშიაც, როგორც ამბობენ, სამოცი თუმნის ახალი მოტანილი, გაუხსნელი სხვა და სხვა სავაჭროები იყო თურმე. ამის დამწველიც ქურდები იქნებოდნენ, მაგრამ დუქანში ორ კაცს ეძინა თურმე, და რადგანაც ვერ გატეხეს—დაწვეს.

„შავი ჩოხა, თეთრი ქუდი. . . . .
ყველა ქურდი.
. . . . კუდურია, წყალში ამოწუმპლულია,
დღე ძინავს და ღამე არა, თვალებ გადმოკუსულია“

ხომ ტყუილად არ იმღერიან სოფლელები!....

სამიქაველები ძრიელ უხეიროები არიან, რომ ამისთანა დიდ და მდიდარ სოფელში, საცა თავად-აზნაურობაც ბევრია, ერთი უბრალო შკოლა არა იქვთ. მაგრამ რა ამითი ბრალია? ხალხი ძალიან მსურველია შკოლისათვის, შვილების გამოზდისათვის (ამის მაგალითს მე მოგახსენებთ); არ დაიზარებენ თავიანთი შვილებისათვის თვეში თოთო-ორორ მანეთს, მაგრამ ამას მოთავე კაცი სჭირდება. დასამტკიცებლად იმისა, რომ აქაურ გლეხებს სწავლის სურვილი აქვსთ, სხვათა შორის, ესეც საკმაო უნდა იყოს: შარშან წინ აქ ერთ მღვდელს ჰყავდა რამოდენიმე ბოვშები და ასწავლიდა ერთ ქოხში უხეირო მეთოდით („აზ, ბუკი, ვედი, ღლაღოლ“) რუსულ წერა-კითხვას და რუსულ გალობას სოფლელები პატარა ქალებსაც აგზავნიდნენ სასწავლებლად. თუმცა იცოდნენ, რომ მასწავლებელი კარგი ვერ იყო, მაგრამ ბოვშებს სასწავლებლად აგზავნიდნენ მასთან და იხდიდნენ თვეში სამ-სამ აბაზს. რომ ქართულიც გახსენებოდა და არ შეძულებოდა ამ მღვდელს, უჭველია, მეტსაც მისცემდნენ.

შარშან სოფლელებს მოეყვანათ აქ ერთი ქართული მგალობელი, რომელთანაც ცოლშვილიანი ვაჟკაცები მუშაობას თავს ანებებდენ და „კირიიელეისონს“ ყვიროდნენ დილიდგან სალამომდი. ეს მგალობელი ახლაც ჰყავსთ ხარჯთან ცოტა ფულებსაც აძლევენ და კარგა მიღებული ჰყავსთ.

თეოფ. ქანდელაკი.

---

აბასთუმანი 24 აგვისტოს, 1874 წ.

თიბათვეში და კათათვის პირველ რიცხვებში აქ ძრიელ გრილოდა, ხშირ-ხშირად კიდევაც წვიმდა და ამის გამო საზოგადოება ცოტა მობუზული იყო. ბევრჯელ გამიგონია ამ გვარი საჩივარი: ბატონო, ღამით ღამის სიცივით გავწყდეთ, ასე რომ გვცოდნოდა ჯერეთ როგორ გავბედავდით აქ წამოსვლასა.“ აი დადგა თბილი დღეები და სიცოცხლის ჩალხი დატრიალდა. ახალ-ციხელი მუზიკა თავის ჭრიჭინის ხმით შეიქმნა პირველ სალაპარაკო საგნათ. დანიშნეს სატანცაო დღეები: იქმნა კვირა და ხუთშაფათი შესანიშნავი გასათხოვარი ქალებისათვის. აბასთუმანის ჰაერის წყალობით სხვაგან დავარდნილი კავალერები აქ პირველ კავალერებათ აღმოჩნდნენ.-ახალციხის მოსამსახურე კაცებმაც გამოაჩინეს პირველი კავალერობა და ყოველ კვირა დღეს დაიწყეს აბასთუმანში ამოსვლა. ასე ყოველ ხუთშაფათს და კვირა დღეს აბასთუმნის მოთამაშე ხალხი დიდის გულმოდგინებით იმტვრევს ფეხებს ტანციობით როტონდაში, რომლის ფიცრულ პოლს, მგონი, შალაშინ, თავის დღეშიაც არ მოხვედრია.

მარტო ტანცაობაში, მუზიკის სმენაში, რომელიც ხუთშაფათს და კვირა დღეს გარდა იკვრიდა სამშაფათ-პარასკეობითაც, არ ატარებდნენ აქაურები დროებას. მალე მიჰყვეს ხელი პიკნიკებს. მაგრამ ერთი ორი პიკნიკით არ გათავებულა საქმე. სომხებიც ფსონით ატარებენ დროებას. ამათი ცოლები კიდევ ხშირათ შეიკრიფებოდნენ ხოლმე ერთმანეთთან და დიდის გულს-მოდგინებით ლოტოს თამაშობდნენ. კამპანიებმა, ტანცაობამ, ლოტოს თამაშობამ ვერ დააკმაყო-

ფილეს ზოგი ერთნი და მალე გამოიგონეს ცხენებით სეირნობა. უნდა გენახათ რა ამბავი იყო ხოლმე თითქმის ყოველ დღე სადილს უკან: რამდენიმე ცხენოსანი ქალი და ვაჟი მიაქროლებდნენ ცხენებს ქუთაისის გზაზე, რომ რა არი ერთი კიდევ ენახათ „ворота очарованія,“ როგორც ეძახდნენ ერთს მშვენიერ ადგილს. ბევრჯელ უფრო შორსაც მიდიოდნენ. ხშირათ გაეიგონებდი საჩივარს დედ-მამებისაგან ამ გარემოებაზე: მამებს ბრაზი მოსდიოდათ, რომ იმ თის ქალები ფულებს აბნევდნენ ცხენების საჭიროდ; დედებს კიდევ გული უსკდებოდათ, რომ იმათ ქალებს გზაში უბედურება არ სწვეოდათ. სასაცილო ის იყო, რომ თუმცა დედ-მამებს არაფრათ ეპიტნავებოდათ, რომ იმათი ქალები ჯირითობდნენ, მაგრამ კი არ უშლიდნენ: „თუ კი ამისი და ამისი ქალი სეირნობს, ჩვენი ქალი რაღაა? მართალია ფულები გვეხარჯება, ჩემო პატრონო, მეც კიდევ შიშით გული შელევა, რომ არაფერი დაემართოს ჩვენს ქალს, მაგრამ რას ვიქმთ, თუ კი აქ ამისთანა ადგილია“, ეუბნებოდა ხშირად ცოლი ქმარს.

როდესაც საზოგადოება მუზიკის სმენით, ტანცაობით, კამპანიებით, ზოგნი კიდევ ლოტოს თამაშობით ძალზე იყო აბულბულებული, მაშინ ახალციხიდგან ჩამოვიდა იქაური ქალების უფასო შკოლის მოთავე, მუსხელოვის მეუღლე, იმ განზრახვით, რომ ალეგრის შეწევნობით ფულები მოეგროვებინა თავის შკოლისათვის.

29 ივლისს კიდევაც მოხდა ეს ალეგრი. ამ საქმეში ისეთივე ცოცხალი მონაწილეობა მიიღო ქალების ახალგაზრდობამ, როგორც კამპანიებში, ჯირითობაში და სხვა შესაქცევარ საქმეებში. ამათ ალეგრს ისე შეხედეს, როგორც გულ-გასართობელ საქმეს. ნუ იფიქრებთ, რომ ის ხალისი, რომელიც აქ ზოგიერთმა ქალებმა ალეგრში გამოიჩინეს, ეითომც ხალხის განათლების თანაგრძნობისაგან წარმომდგარიყოს. ხალხის განათლება როგორც იმათი ჭკუა-გონებისათვის, ისე იმათი ზოგი ერთი კავალერებისათვის მიუწდომელი საგანია. მაგრამ ესეც უნდა შევნიშნო, რომ როგორც ქალებ შორის, ისე კაცებ შორის იმისთანებიც ერივნენ, რომლებმაც მიიღეს გულითადი მონაწილეობა ალეგრის საქმეში სწორეთ იმის გამო, რომ ხალხის კეთილ-დღეობა იმათთვის ძრიელ ძვირფასია. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ იმათი რიცხვი ძლიერ ცოტა იყო და მარტო იმათ რომ ეკისრათ ალეგრის საქმე, მაშინ შკოლის მოთავე დიდ ფულებს ვერ მოაგროვებდა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ აბასთუმნის სტუმრებმა ალეგრი ისე მიიღეს როგორც გულის გასართობელი საქმე. ამისათვის ბევრი ბილეთები და სასმელები გასაღდა. ამ გვარად ერთ საღამოს ოთხი საათის განმავლობაში მოგროვდა 574 მანეთი.

აქ უადგილო არ იქნება ვსთქვათ ერთიორი სიტყვა იმ შკოლაზედ, რომლის სასარგებლოთაც ეს ფულები შეიკრიბა.

ახალციხის საქალებო შკოლა დაარსებულია მუხსელოვის მეუღლისაგან და როგორც გაგვიგია კარგათ მიჰყავს საქმე. ახალციხელები დიდათ ემადლიერებიან მას. მხოლოთ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ შკოლა, სადაც სწავლა ხეირიანათ მიყავთ თვითონ მუსხელოვისას და იმის თანაშემწეს (ამას შრომისათვის ეძლევა შკოლისაგან წელიწადში 400 მანეთი ჯამაგირი) არის დაბალს, ბნელს ერთის სიტყვით უმგზავსო ოთახში. ბარედამ რომ კაცმა შეხედოს, თავის დღეში ვერ იფიქრებს, რომ ამ სახლში შკოლა შეიძლება იყოსო, ეს ამბავი დიდათ სამწუხაროა და ახალციხელები ვალდებული არიან, თუ მათთვის ძვირფასია სწავლა, რაც შეიძლება მალე უშოვონ ქალების უფასო შკოლას გვარიანი სახლი. მიამბეს, რომ ანნა მუსხელოვისას და მის თანამშრომლებს აზრათ აქვთ შკოლისათვის სახლი ააშენონო; მაგრამ ზოგი ერთი მიზეზებისა გამო ეს აზრი ჯერ ვერ აუსრულებიათ. მაგრამ საშკოლო სახლის აშენებამდის საჭიროა, რომ ქირით მაინც დაიჭირონ კარგი სახლი; ამ გვარ საქმეში წაყრუება არ შეიძლება, რადგანაც სახლი შკოლისათვის პირველი საჭიროება არის. დარწმუნებული ვართ, რომ შკოლის მოთავემ ეს ძლიერ კარგად იცის და ამისათვის ხეირიანი სახლის შოვნას ეცდება, სანამ შკოლა თავის ხარჯით საკუთარი სახლის აშენებას შეიძლებდეს.

დროებითი აბასთუმნელი.

ხონი, 6 სკტემბერს.

მსურს გაცნობოთ თქვენ და „დროების“ მკითხველთ, რა წყაროები აქვს ხონის უფასო შკოლას და როგორ მოწადინებული არის ხონის საზოგადოება ამ მართლა რომ სამადლო საქმის თაობაზედ. შკოლის შემოსავალი აი რა არის: შემოსულა აქამდის 1600 მანეთი, რომლიდანაც დაიხარჯა 700 მანეთი, დარჩა 900 მანეთი. კიდევ ყოველ წლობით შემოსავალი წევრთაგან 300 მანეთამდის და დროებითის ხელ-მომწერთაგან 700 მანეთი, სულ-1900 მ. თუ კიდევ ხონის ქალაქის შემოსავლისაგან მთავრობამ ყოველ წლობით დაუნიშნა 500 მანეთი, რომლის იმედიც გვაქვს, მაშინ შემოსავალი იქნება 2,400 მ., რომლისაგან ჩვენ შკოლას მიეცემა კარგი საფუძვლიანი არსებობა. ეხლა ჩვენი საზოგადოება შეუდგა სახლის კეთებას ამ შკოლისთვის, რომლისთვისაც თითქმის მასალა სულ შეამზადა. ეს სახლი იქნება აშენებული სხვა უმჯობეს პლანზედ, ვინემ ვაჟების შკოლა. პლანი ისეთია, რომ, ვგონებ, შკოლაშივე იქნება რამოდენიმე ოთახი იმ ქალისათვის, რომელსაც საზოგადოება დაიქირავებს შკოლაში ზედამხედველად. იმედია, რაკი სახლი ექნებათ ხონელებს შკოლისათვის, კარგ მასწავლებელ ქალს მოიყვანენ. უნდა გვქონდეს სრული იმედი, რომ ამ ორ თვეში ჩვენ შკოლას ექმნება საკუთარი სახლი და ყოვლის ფერი მისი მოწყობილება. აშენებაში, ვგონებ დაიხარჯოს 4000 მანეთამდის.

ხონელები ძლიერ მოწადინებულნი არიან, მისცენ წარმატება ამ საქმეს და მით მოუტანონ სარგებლობა არა თუ მარტო თავის თავს, მთელს საზოგადოებას და მისს კეთილმდგომარეობას.

ფ. მ.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

რესპუბლიკას კიდევ ერთხელ გაუმარჯვებია 2 სეკტემბერს კენჭის ყრაზედ. რესპუბლიკელ კანდიდატს მელიეს მოსვლია მენისა-და ლუარის დეპარტამენტში ორმოცდა ხუთი ათასი თეთრი, მაშინ როდესაც მაკ-მაჰონის მომხრეს მოსვლია ოცდა ექვსი ათასი თეთრი და ბონაპარტელს ბერჟეს ოცდა ხუთი.

ლუი-ფილიპეს ნამინისტრალი, ისტორიკოსი გიზო გადაცვლილა. ამ კაცს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთხელ საფრანგეთის ცხოვრებისათვის. ეხლა გიზო მოხუცებული იყო, მაგრამ კიდევ ჰქონდა მხურვალე მონაწილეობა პოლიტიკაში. ამბობენ, რომ ბროლის გამარჯვება და ტიერის პარტიის დამარცხება 24 მაისს სულ გიზოს რჩევით მოხდაო.

ჟულ-სიმონს წამოუთქვამს რეიმსში სიტყვა რომელშიაც ტიერის ნამინისტრალი ამტკიცებდა, რომ ბონაპარტის მომხრეების გამარჯვება კალვადოსში და ნიევრში საყოველთაო კენჭის ყრაზედ რესპუბლიკელების სიძაბუნის მიზეზი არისო. ჟულ სიმონი დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკელ პარტიას მოელის ბოლოს და ბოლოს გამარჯვება და ეხლანდელი დროებითი მდგომარეობა მოითხოვს ვერსალის კრების დაშლას. „ხალხს, რომელიც თავისუფლებისთვის მხნეთ იბრძვის, არ შეიძლება რომელიმე დროებითმა ცუდმა მდგომარეობამ დაუკარგოს ნათელი მომავალი, თავისუფლათ და კეთილშობილათ ცხოვრების საშუალება.“

ლეგიტიმიტების ორგანი გაზეთი უნივერსი დაუხურავთ ორი კვირით. უნივერსი ძალიან გაჯავრებული იყო იმაზედ, რომ საფრანგეთის მართებლობამ იცნო ეხლანდელი ესპანიის რესპუბლიკა. უნივერსი ერთობ გაცხარებით ლაპარაკობდა თურმე ესპანიის რესპუბლიკის თავზედ მარშალ სერრანოზედ, და ეს მიზეზი იყო, რომ უნივერსი აღარ შეიბრალეს მინისტრებმა.

გაზეთებში დაბეჭდილია ზომიერ რესპუბლიკელი კანდიდატის სენარის წიგნი ალბერ ჟოლისთან. სენარი მადლობას წირავს რადიკალურ რესპუბლიკის მომხრეს ჟოლის, კანდიდატობის დათმობისათვის კენჭის ყრის დროს და ეუბნება შემდეგ სიტყვებს: „ჩვენ ეხლა ყველას ერთი საქმე გვაქვს. ეს არის თავისუფლების დაცვა იმ ურიცხვი მტრებისაგან რომელიც გარს ახვევია რესპუბლიკას. ძველი ანდაზაა, რომ „ერთობა შეჰქმნის ძლიერებას,“ მაგრამ არასოდეს თავისუფლების დამცველებს არ გაუგიათ ეს ჭეშმარიტება ის მშვენიერათ, როგორც ეხლა. ჩვენია გამარჯვება, რესპუბლიკის არის მომავალი.“

ეხლა ბაზენის ნაადიუტანტევი ვილეტის გამსაჯულება გათავებულიც იქნება: მოწმად უნდა წარმომდგარ იყო ვილეტის მხრით ბაზენის ცოლი. საკვირველია, რა ფასს დასდებს სამსაჯულო მადამ ბაზენის ჩვენებას ამ საქმეში?

ეხლანდელმა მართებლობამ ისეთ უკიდურესს უგუნურებამდის მიაღწია, რომ მარსელში ორი მოქალაქე სამართალში მიუციათ ნაპოლეონის ჩამოგდებისათვის. სამსაჯულომ გაამართლა. ისინი საზოგადოებამ ტაშის ცემით და ბრაოთი მიიღო ეს განჩინება.

ესპანიის მინისტრის შვილს საბალს უნივერსის რედაქტორი ველიო დუელში გამოუთხოვია თავის მამის შეურაცხყოფისთვის. ველიომ უპასუხა, რომ ის მინისტრს საბალს ჰკიცხავდა და არა უბრალო საბალს. ახირებული თავის გამართლება თუ გინდათ ეს არის!

გარიბალდის ბევრჯერ სთხოვეს ეხლანდელ ესპანიის რესპუბლიკას დახმარებოდა. მაგრამ გარიბალდიმ უპასუხა იმათ ასე: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ესპანიის ხალხი სიამოვნებით მიმიღებდა, მაგრამ ამაზედაც დარწმუნებული ვარ, ეხლანდელი ესპანიის მართებლობის კაცები ყოვლის ღონის ძიებით ეცდებიან, რომ ხელი შემიშალონ და ამისთვის მე ვერ მივიღებ ვერავითარ მონაწილეობას.

მაკ-მაჰონი ყველგან, სადაც კი შეხვდება, ლაპარაკობს, რომ ის არავის არ დაანებებს ამ შვიდ წელიწადს საფრანგეთის მართვას. მაშ შვიდ წელიწადს პრეტენდენტებმა კბილები ცხვენზედ უნდა შემოინახონ და შვიდი წლის შემდეგ, ვინ იცის, იქნება ისე დაბლაგვდეს, რომ საშიშარიც აღარ იქნეს.

ლეგიტიმისტს ღენერალს დეტამპლს ერთობ ცხარე წიგნი დაუწერია გაზეთში მაკ-მაჰონზედ და ორლეანების მომხრეებზედ. დეტამპლი სწერს: „რას როშავს მაკ-მაჰონი თავის უფლებაზედ? ეს უფლება ჩვენი მიცემულია და ჩვენვე შეგვიძლია წავართვათ. მეორე, განა მის მოვალეობაზედ ნაკლები მოვალეობა გვაქვს ჩვენ?“ ამ წიგნის შემდეგ ლეგისტიმისტებს და პრეზიდენტს შუა ყოველი კავშირი და თანხმობა დარღვეულია.

ამ მოკლე ხანში ვიმპფენის და პოლ-დე-კასანიაკის პროცესსი იქნება. ამ პროცესს საზოგადოება დიდის მოუთმენლობით მოელის. ვიმპფენი უჩივის კასანიაკს ცილისწამებას და იმედიც აქვს, რომ სედანის სირცხვილი მარტო ნაპოლეონ მესამეს მოახვიოს თავზედ.

# ნარევი

— იაპონიაში მყოფი ინგლისის ელჩი ატყობინებს მთავრობას, თუ რა ღონეს ხმარობს იაპონიის მმართებლობა სწავლისა და განათლების წასახალისებლად 1872-ში იმას გამოუცია კანონი, რომლითაც იაპონია შვიდ საუნივერსიტეტო მაზრად გაუყვია და მას აქეთ ორის წლის განმავალობაში ათას რვაასი კერძოობითი შკოლა დაარსებულა და სამიათას ექვსას ოცდაათი სახაზინო. ამ შკოლებში სწავლობს სამას ორმოცი ათასი ვაჟი და ას ათი ათასი ქალი. ამას გარდა უმაღლეს სასწავლებელში არიან ოცდაათი ათასი მოწაფე. ერთის სიტყვით ყველა სასწავლებელში მყოფი მოწაფეები ნახევარ მილლიონამდის ყოფილა.

— დიდი ხანი არ არის, რაც პეტერბურგში მომკვდარა ერთი კაცი, რომელსაც ახირებული ანდერძი დაუტოვებია: ანდერძში ნათქვამია თურმე, რომ მთელს ყოფა-ცხოვრებას ჩემს ძმის წულს უტევებ იმ პირობით, რომ რაც ჩემს სარდაფში ღვინოები დარჩენილა ყველა გარდააქციოს და შემდეგ თავის სახლში ერთი ბოთლი ღვინო აღარ იქონიოსო. ამას გარდა ამ ჩემმა მემკვიდრემ ყოველწლივ ხუთასი მანეთი ხარჯოს სამი დაბერებული და დავარდნილი ცხენის სარჩენად, რომელნიც განთავისუფლებული უნდა იყვნენ ყველივე შრომისაგან. ეს პირობა მტკიცეთ აუსრულებია მემკვიდრეს და ცხენთ საყასპოზედ ნასყიდის მიხრწნილის სამის ცხენისათვის მშვენიერი საჯინიბო აუშენებია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Сентября 1874 г. Типографія Меликова и К°.

— პარიჟში მოსულა ერთი შესანიშნავი ამერიკელთაგანი, ვიკტორია ვუდგელ, რომელიც ერთის მილიციის პოლკის პოლკოვნიკად არის. ეს ქალი გამოჩენილი მწერალია და ქალების ემანციპაციის მოქადაგე ე.-ი. იმას სურს, რომ ქალებსაც ისეთი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლება მიეცესთ, რითაც კაცები სარგებლობენ. ეს ქალი ეხლა ოცდათექვსმეტის წლის არის. 1872-ში ვიქტორია ვუდგელ ცინცინატის ქალაქში სახალხო კრებამ შტატების პრეზიდენტის კანდიდატად აირჩია და ამგვარად ეხლანდელის პრეზიდენტის გრანტის და კანდიდატის გრილის მოწინააღმდეგე იყო მაშინ.

---

— ძველი მეროპიელებისათვის გასაოცარი უნდა იყოს, თუ რა სისწრაფით შენდება და ირღვევა ამერიკაში ქალაქები. მაგალითად ერთი პენსილვანიის ქალაქის პითჰოლის ამბავი უნდა მოვიყვანოთ. ჯერ ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ქალაქის ალაგას არც დაბა ყოფილა და არც სოფელი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც პითჰოლის ადგილას ერთი სახლი აშენდა. ერთი თვის შემდეგ ამ სახლების აშენების შემდეგ გვარიანი დიდი სოფელი გახდა, 'შიგ ტელეგრაფის სტანცია და სასტუმრო გამართეს. მეორე თვეს აქ დღიური გაზეთის გამოცემა დაიწყეს და თეატრიც ააშენეს. მესამე თვეში მეორე თეატრიც გაჩნდა და მუზიკისა და სიმღერის სასწავლებელი გახსნეს. ექვსი თვის განმავლობაში ამ ქალას სამოცდათოთხმეტი ტრაქტირი ჰქონდა. მცხოვრებთ რიცხვი ოცდა ხუთი ათასამდის ადიოდა. ქუჩებში და სახლებში წყლის გამყვანი მილები გააკეთეს, და ქალაქის გამგეობა გაიმართა. ამ ქალაქის აშენების მიზეზი ნავთის წყაროები იყვნენ, და როცა ეს წყაროები დალარიბდა, ქალაქმაც იკლო. სასტუმროები, თეატრები და ტელეგრაფის სტანცია დაიხურა, გაზეთი მოისპო, ორიათასი სახლი გაცადლიერა და 25 ათას მცხოვრებლებისაგან მხოლოდ ათიოდე ოჯახი დარჩა. რამდენიმე თვის შემდეგ სახლებსაც დაანგრევენ და პითჰოლის ქალაქი ისე უცებ განქრება დედამიწიდგან, როგორის სისწრაფით ის აშენდა.

---

— გარიბალდის ცხოვრება კაპრერას კუნძულზედ აი როგორ არის აწერილი: გარიბალდი ძალიან მარტოხელად სცოვრებს, მის სახლში ერთი ოცი წლის გლეხისა და ერთი მოხუცებული გოგოს გარდა არავინ არის. სახლი ძრიელ უბრალოდ აქვს თურმე მოწყობილი: მის ოთახში პატარა ბუხარია, ერთი კრაოტი სდგას, რამდენიმე სკამი და ერთი საწიგნე, ერთ კუთხეში მრავალი წიგნი აწყვია. აქვე არის პოლკოვნიკის ნილოს სტატუა და გენერალი ფლორის სურათი. ეს ოთახი მის სახლში საუკეთესოა.

კუნძულზედ მრავალი ზეთისხილი და ხურმა იზრდება. გარიბალდის დაურგავს ამ კუნძულზედ რამდენიმე ფორთოხლისა და ლიმონის ხე და თვითონვე უვლის თურმე. ტყეში მრავალი გარეული თხები და ზროხები ბუდობს. ამას გარდა ამ კუნძულზედ მრავალია თურმე კატები და უგესლო გველები, რომლებიც ქათმებს აწყალებენ.

ზღვის პირათ ორი ნავია დაბმული, ერთი, პატარა, მახლობელს კუნძულზედ გადასავლელად იხმარება და მეორე, რომელიც სიგრძით სამი საჟენი იქნება, უფრო შორს წასასვლელად არის დანიშნული.

## საქართველოს ცხოვრებიდგან

### IV.

### კათალიკოზ მელქისედეკის მოქმედება

რომ კარგათ გავიგოთ მელქისედეკ კათალიკოზის მოქმედება და პოლიტიკა, მე საჭიროდ ვრაცხ ჯერ ჯეროვნით ერთი ორიოდე სიტყვა ვსთქვა დავით კურაპალატზე, რომელიც საბერძნეთისა და საქართველოს შუა განხეთქილების მიზეზი შექმნა.

დავით კურატპალატი იყო ზარეთ-ქართლში მეფედ ტაოსი და კლარჯეთისა და შთამამავლობით ბაგრატოვანი. ამას შვილი არ ჰყვანდა და ამისათვის 980 წელს იშვილა თავის ნათესავის, შიდა-ქართლის მეფის, გურგენის შვილი ბაგრატი. ამის შემდეგ ბაგრატი შეიქმნა მემკვიდრე დავით კურატპალატისა და ქართლისა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, შიდა-ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძის ჩაგონებით იმერეთის თავად-აზნაურობამაც დავით კურატპალატს ბაგრატი მეფედ სთხოვეს. დავით კურატპალატს, იოანე მარუშიძეს და ბაგრატის მამას გურგენს დიდი ხანი იყო სურდათ საქართველოს შეერთება და ერთი თვით-მპყრობელი მეფის დაყენება, ამისათვის დიდის სიამოვნებით თანახმა გახდნენ. ამის შემდეგ დავით კურატპალატმა შეჰყარა აფხაზ-იმერეთისა, ქართლისა და აჭარის თავად-აზნაურობა, დააყენა ბაგრატი თავის წინ და ხალხს ასე უთხრა: ვსე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი,; და მე ვარ მოურავი მისი და თანა შემწე: ამას დაემორჩილენით ყოველნი (ქართ. ცხოვ. 207 გვერ):

მაგრამ 1001 წელს დავით კურატპალატი მოკვდა და, არ ვიცი რა მიზეზით, თავისი სამფლობელო ტაო და კლარჯეთი საბერძნეთის იმპერატორს ვასილი II-ს უანდერძა. ვასილიმ მაშინვე დაიჭირა ნაჩუქარი მიწა-წყალი; მაგრამ მეფე ბაგრატს III-ს ეს ძლიერ ეწყინა. თუმცა, როცა ვასილი მოვიდა კლარჯეთისა და ტაოს მისაღებათ თავის მფლობელობაში, მაშინ ბაგრატი და იმისი მამა გურგენი წინ მიეგებნენ და მოიკითხეს და დაემორჩილნენ ანდერძის ძალას. მაგრამ საქართველოს ჯარები თანახმა არ გახდნენ, საქართველოს ნაწილების დათმობაზე, შეჰყვნენ ბერძნის ჯარის კაცებთან ლაპარაკს, მოუვიდათ ჩხუბი და ერთმანეთი ძლიერ გაბალთეს. ამ ჩხუბის შემდეგ ის იქმნა, რომ 1001 წელსავე ვასილიმ ტაოს ნახევარი ბაგრატს დაუთმო და აქაური ეკლესიები თავის მამულებით და სასულიერო წოდებით საქართველოს კათალიკოზს დაუმორჩილა. (იხ. ქარ. ცხოვ. 209 და 210 გვერ. და ბარათ. ისტ. რუს. ენ. III რვეულის 52 და 53 კაბადონები).

აქედგან დაიწყება კათალიკოზი მელქისედეკის დაფარული პოლიტიკური მოქმედება. ის იყო გაზრდილი მეფე ბაგრატი III-გან და კათალიკოზად დაყენებული და ძალიან შესანიშნავი პირი ჩვენს ისტორიაში. რადგან ტაოსი და კლარჯეთის ეკლესიები ამ კალიკოზს ემორჩილებოდნენ სარწმუნოების ანგარიშში, ამისათვის, როგორც პატრიოტი და მეფე ბაგრატის აღზრდილი და მომხრე პირი, მისდევდა პოლიტიკას და სცდილობდა ტაოსი და კლარჯეთის საქართველოსთან შეერთებას. მაგრამ ისრე ოსტატურად იქცეოდა, და აცლიდა საბერძნეთს იმის ხელში მყოფ საქართველოს ნაწილებს, რომ საბერძნეთი ვერ უგებდა იმას ოსტატობას. ამან ჯერ გამოიძია ამ ნაწილებში საეკლესიო მამულები და მერმე მივიდა საბერძნეთში ვასილი იმპერატორთან, აუხსნა საქართველოს ეკლესიების ღარიბი მდგომარეობა, სთხოვა შემწეობა და საეკლესიოდ მამულები. მაშინ მეფემან ვასილი, ამბობს ქართლის ცხოვრება 212 კაბადონზე, მისცა მონასტერი კესტორია, რომელს 105 სოფელი აქვს, განძი და შესამკობელი ეკლესიათანი, ხატნი, ჯვარნი და ყოველივე სამღვდელთ მთავრო და სამღვდელო სამკაული და ჩაწერა მცხეთის საეკლესიო მამულად. ეს მოხდა 1002 წელს, როცა ჯერ მეფე ბაგრატი III მეფობდა. 1015 წელს მეფე ბაგრატი მოკვდა, მაგრამ კათალიკოზი არ დასცხრა. 1022 წელს საქართველოს მეფეს გიორგი I-ს და საბერძნეთის იმპერატორს ვასილის მოუვიდათ ომი. ეს ომი მოჰხდა ტაოსი და კლარჯეთის გიორგისაგან მძლავრობით დაპყრობის გამო. გიორგი მეფემ თუმცა ვასილი ვერ დაამარცხა, მაგრამ მელქისედეკის ცდილობით ბრძოლა მაინც სასარგებლოდ დაურჩა. ქართლის ცხოვრება 217 გვერდზე ამბობს: ხოლო რომელიმე ამათ ქვეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი, დაულოცნა გიორგი მეფესა.

თუმცა გიორგი მეფემ ვასილის კიდევ გამოგლიჯა მიწები და ეკლესიები; მაგრამ მელქისედეკის პოლიტიკა კიდევ ამას არ დასჯერდა. როცა 1027 წელს ვასილი მოკვდა და იმპერატორად გახდა იმისი ძმა კონსტანტინე III-ს, კიდევ წავიდა საბერძნეთში, მოკრიფა იქაურს მდიდარ ქალაქებში ფულები, მოვიდა ტაოს, კლარჯეთში და საჯავახოში და იმავე ფულებით იყიდა მრავალი სოფლები. აი როგორ ამბობს ამაზე ქართლის ცხოვრება 218 გვერდზე: „მოვიდა პატრიაქი მელქისედეკი ქვეყანასა და სამწყსოსა თვისსა, და იყიდა სოფლები ტაოს: ზადკარეკი, ხუთითა აგარათა, და ძალლის-ხევს იყიდა სოფელი ოროთა, სამითა აგარათა, ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარათა თვისთა ძმათა განძითა იყიდა; და კლარჯეთს სოფელი ერთი სახელოიანი, და შავშეთს მოიგო სოფელი დიდი სახლოიანი, აგარა მისი ნაღვარევი; და ჯავახეთს მოიგო სოფელი ტონთიო, და კოლას მოიგო და დააშენა სოფელი დიდი ოროტანი, აგარათა; და ფანავარს ააშენა სოფელი ერთი, მახაროვანი, და საკოეთს შეიპყრა და ააშენა სოფელნი ორნი და ნაქალაქევი, და ბერდაძონი, და დაუდვა წმინდასა ამას ქალაქსა მცხეთას — სვეტსა-ცხოველსა.“

მაგრამ მხნე და შრომის მოყვარე მელქისედეკი კიდევ არ დაწყნარდა. 1028 წელს კონსტანტინე მოკვდა და იმპერატორად გახდა იმისი სიძე რომანოზი აგირიო. მაშინ კათალიკოზი კიდევ წავიდა საბერძნეთში და წამოიღო ეკლესიის სამკაული და ხატნი და ჯვარნი. ამის შემდეგ გამოიძია თვით ბაგრატის სამეფოში საეკლესიო მამულები და „მოიგო ქართლის მონასტერი პალავრა, თაიხით სოფლითა; კახეთში ნუქეთი, შესავლითა მისითა, უინცვისი, შესავლითა მისითა, და შინდობის ნახევარი; კურბითს საზნაური, კარგი სოფელი ერთი, ჩუჩეთს უბანი ერთი, მიწა და ვენახი სასეფო, ზეგანთა სოფელი, შიდარი, და კუხეთს, ახატანს, უბანი ერთი, და ნოსორნა, სოფელი ერთი; და ჰერეთს მონასტერი, დიდითა ძალითა, და ლაგოდახი; და ჰერეთსვე, კატეხისა ეკლესია, შესავლითა მისითა; და კაკს ვაჭარი ათორ-მეტი, და ზიარი, სოფელი დიდი (ქარ. ცხოვრ. 221 და 222 კაბადონები)

თუმცა ბარათა-შვილი ამბობს III რვეულის 4 გვერდზე, რომ არაბებმა აღმოსავლეთის საქართველოს ხარჯი 686 წელს დაადევსო; მაგრამ ქართლის ცხოვრება იქვე მოიხსენებს, რომ ცხვარი, ცხენი, ღვინო, ზედაშენი და რაც იყო, ყოველი ალი ამირმა ამოაგდო და ახადა ამას წმინდასა კათოლიკე ეკკლესიასა. ამ კათალიკოზმა XI საუკუნეში ყოველი საეკკლესიო მამულები ცნობაში მოიყვანა, ააშენა და დააგინა ყოველგან სახლნი და ააგო ეკკლესიანი ყოველნი, რიცხვით ყოველნივე, მოახსენა ბაგრატ მეფესა და შეუვალად გახადა.

საზოგადოთ უნდა ითქვას მელქისედეკზე, რომ ის ძალიან მამულის მოყვარე კაცი იყო და ეწეოდა პოლიტიკურს საქმეებში ბაგრატ III-ს, გიორგი I-ს და ბაგრატ IV-ს. ბარათა-შვილი თავის ისტორიის მე III რვეულის 53 გვერდზე ამბობს: „რადგან საქართველოს კათალიკოზს დიდი გავლენა ჰქონდა ტაოსი და კლარჯეთის ეკკლესიებზე და სასულიერო წოდებაზე, ამისათვის გიორგი მეფემ, ზავის პირობის შეკვრას შემდეგ, მოინდომა თავისუფლების დამყარება აქაურს მცხოვრებლებზედაცა. მაგრამ თავის წადილის ასასრულებლად იმან განიზრახა ცბიერებით და დაფარულად მოქმედება. იმან გაგზავნა კონსტანტინოპოლში და საბერძნეთის მდიდარს ქალაქებში კათალიკოზი მელიქსედეკი და უბრძანა იქ საეკკლესიოდ ფულის შეკრება. მაგრამ მელქისედეკის დაბრუნების შემდეგ ბერძნებისაგან საეკლესიოდ შემოწირული ფულებით სამცხეში, ტაოსში და კლარჯეთში იმათგანვე იყიდეს მრავალი სოფლები და ეკკლესიის საკუთრებად დასწერეს. ამ სახით, თუმცა ეს მაზრები იმპერიას ეკუთვნოდა, მაგრამ ამ სოფლების შინაგანი მმართებლობა სრულებით საქართველოს მართებლობის ხელში იყო.“

დასასრულს უნდა ვსთქვა, რომ ამ გვარი გავლენა საბერძნეთის ხელში მყოფ საქართველოს ტერრიტორიის ნაწილებზე: ტაოზე, კლარჯეთზე, სამცხეზე და ჯავახეთზე ქართველების მთავრობას ამ კათალიკოზმა მოუპოვა: ამან გამოისყიდა ეს ნაწილები და მცხეთის საეკლესიო მამულად ჩაწერა და ამ სახით დაამკვიდრა აქ თავისი და მეფის უფლება, რომლისა გამო კონსტანტინე VI რომ გახდა იმპერატორად, საქართველოს გამოუცხადა ომი; მაგრამ ტბეთის საბა ეპისკოპოსმა დაამარცხა ბერძნები.

ინგილო ჯანაშვილი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ახალციხე ანნა მუსხელოვისას „სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებელად ქართველ ახალ მოსწავლე ყმაწვილებისათვის (Руководство къ практическому изученію русскаго языка для грузинъ) შედგენილი გ. კალანდარიშვილისაგან. ფასი სამი აბაზი.

---

განცხადება

ვაცნობებ საზოგადოებას, რომ მე ვსხნი ქუთაისში კანტორას, სადაც მიიღება დაწერა და შედგენა, როგორც შავად, აგრეთვე თეთრათ, ყოველ გვარის არძებისა, საჩივრებისა, პასუხებისა და სიგლების პროექტებისა.

მივიღე რა გამოცდილება დიდის ხნის ნამსახურობით ვითარცა ძველის, ეგრეთვე ახალის საქმეების წარმოებაში და წესებში, მე იმედი მაქვს სინიდისიანად დავაკმაყოფილო საქმეების მქონის ხალხის მოთხოვნილება და სურვილი; მივცე მას დარიგება და დავაყენო ისეთ საიმედო გზაზედ, რომ ადვოკატი საჭირო აღარ დარჩეს მისთვის და მომეტებულს ხარჯს ასცილდეს. ფასს შრომისათვის მოვითხოვ ზომიერს.

კოლ. ას. სიმონ ივანეს ძე მესხი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Сентября 1874 г. Типографія Меликова и К°. გამომცემნი: ს. მელიქოვი და ს. მესხი. — დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.